თვითრეგულირების მექანიზმების ეფექტიანობა ქართულ სატელევიზიო მედიაში

გელა ბოჩიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, მედია-მკვლევრის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

საქართველოში ტელემაუწყებლებს თვითრეგულირების მექანიზმის არსებობას დიდხნიანი ისტორია არ აქვს. სწორედ ამიტომ საინტერესოა, შევისწავლოთ როგორია თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლების მიერ დადგენილი პრაქტიკა. პრაქტიკის შესასწავლად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თვითრეგულირების მექანიზმი მაუწყებლებში ეფექტურად არ მუშაობს, კომუნიკაციების ეროვნული კომისია კი არ ასრულებს ზედამხედველის როლს.

დამკვიდრებული პრაქტიკა არ აძლევს მოქალაქეებს შესაძლებლობას ეფექტიანად გამოიყენონ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმი, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, გასაჩივრების მექანიზმის შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობაა, მეორე მხრივ კი არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

საძიებო სიტყვები: მედია, ტელევიზიები, თვითრეგულირება, კოდექსი.

Abstract

In georgia, the long history of self-regulation mechanism in TV broadcasters does not exist. Therefore, studying the self-regulation mechanism established by TV broadcasters is interesting. The study uses quantitative and qualitative research methods.

As a result of the research, it has been found that the self-regulation mechanism existing in TV broadcasters does not work effectively and Georgian National Communications Commission does not have the role of supervisor. Established practice do not allow citizens effectively use self-regulation mechanism. The reasons are at one one hand, the lack of awareness of society on the existence of appealing mechanism and on the other hand, nonhomogenous practice.

Keywords: Media, Television, Self - regulation